

ნორმის პირველი ვერსია მოამზადა აკაკი შანიძემ, გამოქვეყნებულია 1970 წელს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“.

ნორმის პროექტის ახალი რედაქცია შეიმუშავა ვახტანგ მაღრაძემ.

პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2019 წლის პირველი ივლისის სხდომაზე და მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 2 აგვისტოს სხდომაზე. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 394-ე დადგენილებით 2020 წლის 30 ივნისს.

ვითარებითი ბრუნვის ფორმა

ვითარებითი ბრუნვის ფორმის წარმოებისას უნდა გათვალისწინდეს შემდეგი წესები:

1. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი თანხმოდგენილებთან უნდა იყოს **-ად**. მაგალითად: **კაცად** (და არა კაცათ), **მეგობრად** (და არა მეგობრათ), **სახლად** (და არა სახლათ), **სოფლად** (და არა სოფლათ), **დიდად** (და არა დიდათ), **კარგად** (და არა კარგათ), **ცუდად** (და არა ცუდათ), **სამად** (და არა სამათ)...

ხმოდგენილებთან ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს **-დ**. მაგალითად: **გზად** (და არა გზათ), **მზედ** (და არა მზეთ), **ტრამვაიდ** (და არა ტრამვაით), **ყრუდ** (და არა ყრუთ), **წყაროდ** (და არა წყაროთ), **მწარედ** (და არა მწარეთ), **უნებლიედ** (და არა უნებლიეთ), **რვად** (და არა რვათ), **რად** (და არა რათ)...

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა (კერძოდ, ზმნისართებისა), რომლებიც მოქმედებითი ბრუნვისგან მიიღება ან ფუძეში შეიცავს **თ-**ს, დაინერება **თ-**თი (და არა **დ-**თი): **გარეთ, ზემოთ** (// **ზევით**), **ქვემოთ** (// **ქვევით**), **წინათ, უკეთ, ალბათ, შიგნით**.

შენიშვნა: უნებლიეთ ფორმა მართებულად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციულად დამკვიდრებულ გამოთქმაში „**ნებსით თუ უნებლიეთ**“.

დასაბუთება

სალიტერატურო ქართულში (ძველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული დღემდე) ვითარებითი ბრუნვის ნიშნად თანხმოდგენილებთან სახელებთან გვაქვს **-ად**, ხოლო ხმოდგენილებთან – **-დ**, თუმცა XVII-XVIII საუკუნეების ტექსტებსა და ცოცხალ კილოებში თავს იჩენს **დ-**ს დაყრუებული ვარიანტი (თანხმოდგენილებთან გვხვდება **-ათ**, ხოლო ხმოდგენილებთან – **-თ**). კილოების გავლენით **-ათ** და **-თ** დაბოლოებანი ჩნდება სალიტერატურო ენაშიც.

ვითარებით ბრუნვაში **დ-**ს **თ-**დ ქცევა განცალკევებით მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა **ბ-**ს დაყრუება და მისგან **ფ-**ს მიღება: **ვაკეთებ, ვამბოფ, ვაწყოფ** და სხვ.

ბოლოკიდური მჟღერი ბგერის დაყრუება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ ყრუ ბგერა უნდა დაინეროს, შდრ.: ზმნათა **-ეფ** და **-ოფ** სუფიქსებიანი დიალექტური ვარიანტები, რომლებიც, ბუნებრივია, მცდარ ფორმებად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში **ბ** (და არა **ფ**) რჩება იმის გამო, რომ ის უცვლელად არის წარმოდგენილი **აკეთებს, ამბობს, აფერადებს** და ა. შ. ტიპის ზმნებში.

-ეფ და **-ოფ** სუფიქსების მსგავსად დიალექტურია ვითარებით ბრუნვაში გამოვლენილი **თ-**ც, რომლის პირვანდელი სახე **დ** მკვიდრად არის დაცული ვითარებითისაგან ნაწარმოებ ფორმებში. ასეთებია:

ა) ნილობითი რიცხვითი სახელები: **მესამედი, მეოთხედი, მეათედი, მეასედი** და სხვ.

ბ) ყველა ის სახელი, რომელთა ფუძედ ვითარებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული: **გულად** – **გულადი** – **გულადობა**, **პირად** – **პირადი** – **პირადობა**, **თვალად** – **თვალადი** – **თვალადობა**, **ტანად** – **ტანადი** – **ტანადობა** და სხვ.

ცალკე უნდა აღინიშნოს **უნებლიეთ** ფორმის შესახებ, რომელიც ძველი ქართულიდან მომდინარეობს და მართებულად არის მიჩნეული სალიტერატურო ენისთვის. თანამედროვე ქართულში დასტურდება აგრეთვე **უნებლიედ** ვარიანტი, რომელიც **უნებლიე** ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა და ძირითადად გამოიყენება ზმნისართის ფუნქციით: **უნებლიედ** შეცდა, **უნებლიედ** წაეშალა (შდრ.: **კარგად** ხატავს, **ლამაზად** წერს, **მწარედ** მოტყუვდა...). აღნიშნული ფორმა უნდა იქნეს მიჩნეული მართებულ ვარიანტად.

უნებლიედ ვისმინე, რაც ხევისბერს შენ უთხარი, ჩემო (კ. გამსახურდია);
ოი, – **უნებლიედ** აღმოხდა ბავშვს, – სანყალი, სანყალი (გ. რჩეულიშვილი);

ქართული კულტურის ევროპულობა **უნებლიედ** იქცა ამ ფესტივალის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად (დ. კაკაბაძე)...

ვითარებითი ბრუნვის ფორმის წარმოებისას უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიანებთან უნდა იყოს **-ად**, ხმოვანფუძიანებთან – **-დ**: **კაცად** (და არა კაცათ), **მეგობრად** (და არა მეგობრათ), **სახლად** (და არა სახლათ), **სოფლად** (და არა სოფლათ), **გზად** (და არა გზათ), **მზედ** (და არა მზეთ), **ტრამვაიდ** (და არა ტრამვაით), **ყრუდ** (და არა ყრუთ), **წყაროდ** (და არა წყაროთ), **დიდად** (და არა დიდათ), **კარგად** (და არა კარგათ), **ცუდად** (და არა ცუდათ), **მწარედ** (და არა მწარეთ), **სამად** (და არა სამათ), **რვად** (და არა რვათ), **რად** (და არა რათ) და სხვ.

2. ერთი ჯგუფი სიტყვებისა (კერძოდ, ზმნისართებისა), რომლებიც მოქმედებითი ბრუნვისგან მიიღებიან ან ფუძეში შეიცავენ **თ**-ს, დაინერება **თ**-თი (და არა **დ**-თი): **გარეთ**, **ზემოთ** (// **ზევით**), **ქვემოთ** (// **ქვევით**), **წინათ**, **უკეთ**, **აღბათ**, **შიგნით**.

შენიშვნა: **უნებლიეთ** ფორმა მართებულად უნდა მივიჩნიოთ ტრადიციულად დამკვიდრებულ გამოთქმაში „**ნებსით თუ უნებლიეთ**“.